სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 202

2022 წლის 10 ნოემბერი

ქ. თბილისი

„მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 3 ნოემბრის N201 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სსიპ შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 20 ოქტომბრის N196 ბრძანების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1435878, 10.11.2022) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ინტერდისციპლინური კვლევების სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 3 ნოემბრის N201 ბრძანებაში და ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებული დანართი ერთის - კონკურსის წესები და პირობების მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. გრანტის მიმღები ვალდებულია, შეაფასოს პროექტით გათვალისწინებული კვლევის მიგნებების პატენტუნარიანობა. პატენტუნარიანობის შემთხვევაში წარადგინოს საპატენტო განაცხადი (საქართველოს ან საერთაშორისო საპატენტო ორგანიზაციაციაში). იმ შემთხვევაში, თუ არ გამოვლინდება პატენტუნარიანობა, კვლევის მასალებზე დაყრდნობით უნდა გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია. სტატია გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში ან დასტურდებოდეს მისი გამოსაქვეყნებლად მიღების ფაქტი. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, წიგნები და კრებულები, რომლებიც ინდექსირებულია: Scimago Journal Ranking რეიტინგში ან/დაElsevier (Scopus და Science Direct), Clarivate (Web of Science), ERIH plus ბაზებში.“

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №64).

ეკატერინე ბუთლიაშვილი
ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტი უფროსი